სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ქ. თბილისი
2022 წელი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

შეთანხმებულია:

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან

პროფ. ლ. საბაურთან _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან

ქ-ნ ი. გრძელიძესთან _____

ფაკულტეტის საბჭოსთან

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი (#8; 04.08.2022)

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარესთან

პროფ. გ. ღაღანიძესთან _____

დამტკიცებულია

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ

აკადემიური საბჭოს დადგენილება #77; 2022 წლის 14 სექტემბერი (https://tsu.ge/ka/legalakad/45527). ცვლილებები შეტანილია თსუ

აკადემიური საბჭოს **2022** წლის **12** დეკემბერის **N: 116/2022** დადგენილებით

პროგრამის სახელწოდება ქართულად და ინგლისურად	**ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში** **National Security Policy in Public Administration**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	**აღმასრულებელი ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი საჯარო მმართველობაში/ Executive Master of Business Administration (EMBA) in Public Administration**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში სამაგისტრო პროგრამა) სასწავლო კომპონენტი 60 ECTS, მათ შორის: • 50 ECTS - სავალდებულო სასწავლო მოდულები/კურსები (მათ შორის 10 კრედიტი, სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია პროექტი - პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომი (Capstone Project)); • 10 ECTS - არჩევითი სასწავლო მოდულები/კურსები. (სულ შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობაა 23 ECTS). სწავლის ხანგრძლივობა - 2 სემესტრი **იხილეთ დანართი 1: პროგრამის სტრუქტურა**
სწავლების ენა	**ქართული** (ცალკეული სასწავლო კურსის მეცადინეობები შესაძლებელია წაკითხულ იქნეს ინგლისურ ენაზე, მაგ: IS 100 საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოების გარემოს კურსის მსვლელობისას, დაგეგმილია აშშ, ნატოს, ევროკავშირის და სხვა პარტნიორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა სპიკერის დარგში მოწვევა)
პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორები	ხელმძღვანელები: 1. **ბადრი რამიშვილი** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტი გლობალურ გარემოში კათედრის ასოცირებული პროფესორი. ტელეფონი: სახლი 252 81 28, მობილური 593 34 52 24, სამსახური 2303217, ელ. ფოსტა: badri.ramishvili@tsu.ge 2. **პ-კი კონსტანტინე პეტრიაშვილი -** სოციალური მეცნიერებების დოქტორი, სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის თავდაცვისა და უსაფრთხოების სასწავლო-ანალიტიკური

	ცენტრის ეროვნული და რეგიონალური მიმართულების კურსის უფროსი, ტელეფონი – 577 194718; ელ.ფოსტა -kotepetria@gmail.com; kpetriashvili@mod.gov.ge;
პროგრამის დაშვების წინაპირობა	სამაგისტრო პროგრამებზე ჩაირიცხებიან საჯარო სამსახურის მოსამსახურეები: • რომლებსაც გააჩნიათ ბაკალავრის, მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; • რომლებიც ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას; • რომლებსაც საჯარო სამსახურში მართვის/ადმინისტრირების დარგში აქვთ მინიმუმ 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება; • რომლებიც წარმოადგენენ ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს STANAG 2/2/2/2 ან CEF B2 (ან შესაბამისი დონის TOEFEL/ILTS/ECL ან სხვა საერთაშორისო ინგლისური ენის გამოცდა) ან წარმოადგენენ დიპლომს/სერთიფიკატს, რომელიც ადასტურებს, რომ გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი სასწავლო პროგრამა, ან ჩააბარებენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის გამოცდას B2 დონეზე. • რომლებიც გაივლიან გასაუბრებას სამაგისტრო პროგრამაში მონაწილე პროფესორებთან; * სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებად განსაზღვრული დამატებითი წინაპირობები: 1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში (შემდგომ თავდავის სამინისტრო) მოქმედი „თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლესი პროგრამაზე“ (აღნიშნული პროგრამა არის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ შემადგენელი ნაწილი) ჩარიცხვისათვის განსაზღვრული თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები - უმაღლესი ოფიცრების შემადგენლობიდან და უფროსი ოფიცრების შემადგენლობიდან („პოლკოვნიკის'' და „ვიცე-პოლკოვნიკის'' სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეები), სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირები, აგრეთვე, საქართველოს უსაფრთხოების სტრუქტურებსა და ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა სახელმწიფო უწყებათა სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირები. 2. სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხი სამხედრო, სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირების რაოდენობა არის 25, მათ შორის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებისათვის - მაქსიმუმ 8 სამხედრო მოსამსახურე.** 3. სახელმწიფო უწყებებიდან წარმოდგენელი სამოქალაქო ან სპეციალური წოდების მქონე კანდიდატების კონკურენციის შემთხვევაში, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვაზე პრიორიტეტი მიენიჭება სტრუქტურულ კუთვნილებას (თითოეული სტრუქტურიდან 1 პირი), რათა მიღწეულ იქნას მაქსიმალური წარმომადგენლობითი მრავალფეროვნება. შენიშვნა:

	* - პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. ** - სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხი სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა გამომდინარეობს „თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლეს პროგრამაზე“ განისაზღვრულ სამხედრო ოფიცერთა შემადგენლობიდან და მათ მიერ მაქსიმუმი 8 ადგილის შეუვსებლობის შემთხვევაში, დარჩენილი რაოდენობა გადანაწილდება სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხ სხვა მსურველ კანდიდატებზე.
პროგრამის შეთავაზების მიზეზი და აქტუალობა	ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეები და გამოწვევები საჭიროებენ ერთობლივ და კომპლექსურ მიდგომებს სახელმწიფოს ინსტიტუტების მხრიდან. საჯარო სამსახური, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის ძირითად ბირთვს მუდამ მზად უნდა იყოს ამ პრობლემატური საკითხების დაძლევისა და გადაჭრისათვის. სახელმწიფოს უწყებათშორისი თანამშრომლობა არა მარტო პოლიტიკურ და ეროვნულ საფეხურზე, არამედ უწყებების ორგანიზაციული და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობის დონეზეც მოითხოვს ერთობლივი მიდგომების ჩამოყალიბებას. სახელმწიფო უწყებების საჯარო სამსახურში სტრატეგიული განათლება და სტრატეგიული მიდგომები უნდა ეფუძნებოდეს ერთიან საგანმანათლებლო ბაზისს. შესაბამისად საჯარო მართვის სფეროში სტრატეგიული განათლებისა და ეროვნული ძალის ელემენტების სინერგიისათვის საჭიროა მოქნილი და ეფექტიანი სპეციალიზირებული სასწავლო-საგანმანათლებლო პლატფორმის შექმნა. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებს დასავლეთის საგანმანათლებლო ინსტიტუტების მიზნებსა და გამოცდილებას, მათ შორის ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამებს, შესაძლებლობას მისცემს ქვეყნის საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელ პირებს ერთი სასწავლო წლის (ორი სემესტრი) განმავლობაში მიიღონ კვალიფიციური სტრატეგიული დონის განათლება საჯარო მმართველობასა და ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის მართვაში.
პროგრამის მიზანი	**პროგრამა მიზნად ისახავს ქვეყნის საჯარო სამსახურისათვის სტრატეგიული დონის ლიდერთა მომზადებას, რომელთაც შეეძლებათ საჯარო მმართველობის განხორციელება, ეროვნულ დონეზე ერთობლივი ურთიერთქმედება, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოს შეფასება და მშვიდობიანობის, საგანგებო სიტუაციებისა და საომარი მდგომარეობის დროს სტრატეგიული დონის საჯარო მართვის პროცესებში ეფექტიანი მონაწილეობა.**

სწავლის შედეგები: საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები:

სწავლის შედეგები	**პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:** **1. ცოდნა და გაცნობიერება** 1.1. გამოარჩევს თავდაცვისა და უსაფრთხოების დაგეგმვის ეროვნული და უწყებრივი დონის დოკუმენტებს და მათ მომზადებაზე პასუხისმგებელ უწყებებს. 1.2. გამოავლენს ორგანიზაციის ძლიერ და სუსტ მხარეების და ტურბულენტურ და სწრაფად ცვლად ვითარებაში განსაზღვრავს სტრატეგიის ფორმირებისათვის აუცილებელ ელემენტებს. 1.3. ურთიერთდააკავშირებს გლობალურ და რეგიონალ საფრთხეებს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებთან. **2. უნარი** 2.1. განავითარებს ორგანიზაციული ცვლილების ხედვას, გაანალიზებს რა სამეთაურო კლიმატსა და ორგანიზაციულ მიზნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობას. 2.2. ჩამოაყალიბებს ეროვნულ უსაფრთხოების მიზნებთან თავსებად სამოქმედო გეგმებს, შეფასებებსა და მოხსენებებს უწყებათშორისი თანამშრომლობის განხორციელებისათვის. 2.3. შეაფასებს საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო ძირითადი აქტორი სახელმწიფოების სტრატეგიულ მიზნებს და ამ მიზნების მხარდამჭერ საშუალებებს. **3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** 3.1. დამოუკიდებლად დააფორმირებს ქვეყნის უსაფრთხოების არქიტექტურას და უსაფრთხოების პოლიტიკას და ამ პოლიტიკის განხორციელებისას გამოვლენილ ნაკლოვანებებს. 3.2. ეთიკურ და მორალურ პრინციპებზე დაყრდნობით განსაზღვრავს კეთილსინდისიერების, როგორც ინსტიტუციური ხელმძღვანელობის აუცილებელი ნაწილის მნიშვნელობას. **იხილეთ დანართი 2: სწავლის შედეგების რუკა**
სწავლის მეთოდები	სამაგისტრო პროგრამით სტუდენტების სწავლებისას, ტრადიციულ ლექციებთან ერთად, გამოიყენება სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობები, პრეზენტაციები და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. მეცადინეობები ჩატარდება სწავლების ინტერაქტულ გარემოში, აქტიური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ტესტირება, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და სიტუაციური ამოცანების (ქეისების) განხილვა, დისკუსია–სემინარების ჩატარება, საპრეზენტაციო პროექტების მომზადება, აგრეთვე საკონსულტაციო და დამოუკიდებელი მუშაობა. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის და სხვა თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციებში პროფესიულ/სასემინარო პრაქტიკის გავლით. სწავლა/სწავლების მეთოდები: • **ვერბალური** - ზეპირსიტყვიერი; • **წიგნზე მუშაობის** - სახელმძღვანელოდან თანამედროვე ინფორმაციის გაცნობა და სიტუაციების

	მომზადება. • **დემონსტრირების** - ინფორმაციის ვიზუალური წარდგენა. სასწავლო მასალის დემონსტრირება მოხდება სლაიდებით და დაფის გამოყენებით; • **პრაქტიკული მეთოდები -** უზრუნველყოფს პრაქტიკულ უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამოხსნილი იქნება სასწავლო მაგალითები (Case study) და პრაქტიკული სავარჯიშო; • **ახსნა განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მყარ არგუმენტებზე დაფუძნებულ მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. დაწვრილებით განხილული იქნება კონკრეტული მაგალითი; • **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია; • **შემთხვევის ანალიზი (Case study) -** განხილული იქნება კონკრეტული სიტუაციები (შემთხვევები) და გაკეთდება მათი დეტალური ანალიზი. • **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს; საშუალებას აძლევს მოახდინოს კონფლიქტოგენების თავიდან აცილება. • **ჯგუფური** (collaborative) **მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სწავლა შესაძლებელია ასევე ჩატარდეს სწავლების დისტანციური ფორმით (ADL), რა დროსაც გამოყენებული იქნება სასწავლებელში არსებული სწავლების ელექტრონული სისტემები. შენიშვნა: სასწავლო მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

შეფასების სისტემა	სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად; სტუდენტის დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე, სემინარზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, სასემინარო გასვლებს ორგანიზაციებში, დამოუკიდებელ მუშაობას, პროფესიულ ნაშრომზე მუშაობას და ნაშრომის დაცვას, სხვა სახის

	საქმიანობას სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე. სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება ითვალისწინებს: შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას; შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კომპონენტებში შუალედური და დასკვნითი შეფასებისა და შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 51%. კრედიტის მიღების მოთხოვნაა მაქსიმალური (100) ქულიდან 51 ქულის ან მეტის მიღება. **შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** **ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;** **ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა** **გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;** **დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;** **ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა;** **არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:** **ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;** **ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. F – შეფასების შემთხვევაში, სტუდენტმა განმეორებით უნდა გაიაროს კრედიტი.** სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან.
დასაქმების სფეროები	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვს ცოდნა და უნარები, რომ დაინიშნონ საჯარო დაწესებულების პირველადი და მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (დეპარტამენტის/ცალკეული სამმართველოს უფროსი) და მათი მოადგილეების თანამდებობებზე, პოლიტიკური-გადაწყვეტილების მიმღები პირების სტრატეგიული მრჩევლების ადგილებზე, ასევე კერძო სექტორსა და

	სასწავლო სფეროში სტრატეგიების განმსაზღვრელ პირთა პოზიციებზე.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	- პროგრამის გავლა არ იძლევა აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	სწავლის საფასური შეადგენს 2250 ლარს საქართველოს მოქალაქეებისათვის. თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეებისათვის, რომლებიც პარალელურად ჩარიცხულნი იქნებიან „თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლესი პროგრამაზე“ (აღნიშნული პროგრამა არის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ შემადგენელი ნაწილი) სწავლა არის უფასო. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმების მიხედვით
აკადემიური პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ და სსიპ-თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მხარდაჭერით (2022 წლის 13 მაისის *„**ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი** - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტსა და სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლას შორის“*). სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მოქმედი კანონმდებლობისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისი მოთხოვნების მქონე ადამიანური რესურსი: აკადემიური პერსონალი, მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები და სამხედრო და/ან სამოქალაქო ინსტრუქტორები. **დანართი 3:** პროგრამის განმხორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნების მიხედვით. **დანართი 4:** მატერიალურ ტექნიკური ბაზის აღწერილობა.
დამატებითი ინფორმაცია საჭროების შემთხვევაში	ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილის „თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლეს პროგრამაზე“ (თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო ოფიცრის უმაღლესი სამხედრო განათლების დონე) (შემდგომ ტექსტში „სამხედრო პროგრამა“) ჩარიცხულ მსმენელს, სამხედრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულების წარმატებით გავლის და სამხედრო პროგრამის კომპლექსური დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, გადაეცემა თავდაცვის სამინისტროს ოფიცერთა უმაღლესი სამხედრო განათლების დასრულების დამადასტურებელი დიპლომი (2022 წლის 13 მაისის *„**ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი** - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტსა და*

	სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლას შორის“).

ფაკულტეტი: ეკონომიკისა და ბიზნესის

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი, გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა. ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: ბადრი რამიშვილი, კონსტანტინე პეტრიაშვილი.

აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება #77; 2022 წლის 14 სექტემბერი (https://tsu.ge/ka/legalakad/45527)

პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2023-2024

დანართი 1

სასწავლო კურსის სტატუსი

N	პროგრამისათვის სავალდებულო სასწავლო კურსი	პროგრამისათვის არჩევითი სასწავლო კურსი
1	B	C

პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსის დასახელება	საგნის კოდი	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება									სწავლის სემესტრი		სტატუსი
				საკონტაქტო საათები				შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ დამოუკიდებელი მუშაობის საათები	სულ საათების რაოდენობა	წინაპირობები	I	II	
				ლექცია	სემინარი	პრაქტიკული	სულ								
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
პროგრამისათვის სავალდებულო სასწავლო კურსები და პროფესიული ნაშრომი - სულ 50 კრედიტი															
1.	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	AW 100	3	19	17	3	39	2	1	36	75	წინაპირობის გარეშე	X		B
2.	უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები	PS 100	3	16	8	3	27	2	1	48	75	წინაპირობის გარეშე	X		B
3.	სტრატეგიული კომუნიკაცია და მოლაპარაკებები	SC 100	4	17	9	4	30	3	3	70	100	წინაპირობის გარეშე	X		B
4.	საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა	GS 100	5	26	13	27	66	2	1	59	125	წინაპირობის გარეშე	X		B
5.	სტრატეგიული ლიდერობა	SL 100	5	8	27	3	38	-	3	87	125	წინაპირობის გარეშე	X		B
6.	სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში	SM 100	5	13	26	-	39	2	3	86	125	წინაპირობის გარეშე		X	B

7.	ლოგისტიკა საჯარო სექტორში	LG 100	5	13	-	26	39	2	3	86	125	წინაპირობის გარეშე		X	B
8.	ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში	HR 100	5	13	26	-	39	2	3	86	125	წინაპირობის გარეშე		X	B
9.	ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოება	ES 100	5	15	28	2	45	2	3	80	125	წინაპირობის გარეშე		X	B
10.	პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომი	MA	10	-	-	15	15	-	8	235	250	I სემესტრის სავალდებ. კურსები		X	B
პროგრამისათვის არჩევითი სასწავლო კურსები* - მინიმუმ 10 კრედიტი															
11.	ეროვნული თავდაცვის დაგეგმვა და მართვა	DP 100	4	13	13	6	32	2	1	68	100	წინაპირობის გარეშე	X		C
12.	თეატრის სტრატეგიისა და კამპანიის დაგეგმვა	TC 100	5	6	31	12	49	3	3	76	125	წინაპირობის გარეშე	X		C
13.	საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოება	IS 100	5	30	15	30	75	2	1	50	125	წინაპირობის გარეშე	X		C
14.	საზოგადოებასთან ურთიერთობა	PR 100	5	15	-	30	45	2	3	80	125	წინაპირობის გარეშე	X		C
15.	საჯარო ფინანსები	PF 100	5	13	24	2	39	2	3	86	125	წინაპირობის გარეშე	X		C
სულ: 60 კრედიტი															

* - არჩევითი სასწავლო კურსებისთვის გათვალისწინებულია მინიმუმ 10 კრედიტი.

დანართი 2

სწავლის შედეგების რუკა

N	კურსის მოდულის დასახელება	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
1.	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	X	X	
2.	უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები	X	X	
3.	სტრატეგიული კომუნიკაცია და მოლაპარაკებები	X	X	X
4.	საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა	X	X	X
5.	სტრატგიული ლიდერობა	X	X	X
6.	სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში	X	X	
7.	ლოგისტიკა საჯარო სექტორში	X	X	X
8.	ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში	X	X	X
9.	ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოება	X	X	
10.	პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომი	X	X	X
	არჩევითი სასწავლო კურსები			
11.	ეროვნული თავდაცვის დაგეგმვა და მართვა	X	X	
12.	თეატრის სტრატეგიისა და კამპანიის დაგეგმვა	X	X	X
13.	საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოება	X	X	X
14.	საზოგადოებასთან ურთიერთობა	X	X	
15.	საჯარო ფინანსები	X	X	X

დანართი 3

სილაბუსის ავტორი /პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

N	კურსის/მოდულის დასახელება	სილაბუსის ავტორის/ განმახორციელებლების (სახელი, გვარი)	აკადემიური თანამდებობა/ მოწვეული პროფესორი/ მასწავლებელი/ ინსტრუქტორი	აკადემიური კვალიფიკაცია
1.	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	მარიამ ფიფია	უფროსი ინსტრუქტორი	დოქტორანტი
		ნინო ოხანაშვილი	ხარისხის მართვის მთ. სპეციალისტი	დოქტორი
2.	უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები	რომან ჯანჯულია	მიმართულების უფროსი	მაგისტრი
		ნინო ოხანაშვილი	ხარისხის მართვის მთ. სპეციალისტი	დოქტორი
		კონსტანტინე პეტრიაშვილი	კურსის უფროსი	დოქტორი
		კოპეიკინი მამუკა	უფროსი ინსტრუქტორი	მაგისტრი
3.	სტრატეგიული კომუნიკაცია და მოლაპარაკებები	მაია ხოსიტაშვილი	მეცნიერ - თანამშრომელი	დოქტორანტი
		ერეკლე შუბითიძე	სამმართველოს ოფროსის მოადგილე	მაგისტრი
		გიორგი მეშველიანი	კურსის უფროსი	დოქტორანტი
4.	საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა	კონსტანტინე პეტრიაშვილი	კურსის უფროსი	დოქტორი
		თეიმურაზ ბუსხრიკიძე	უფროსი ინსტრუქტორი	მაგისტრი
		კოპეიკინი მამუკა	უფროსი ინსტრუქტორი	მაგისტრი
5.	სტრატგიული ლიდერობა	მამუკა ქავთარაძე	დირექტ. მოადგილე / ცენტრის უფროსი	დოქტორანტი
		რომან ქავთარაძე	მიმართულების უფროსი	დოქტორანტი
6.	სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში	გიორგი ღაღანიძე	პროფესორი	დოქტორი
		ბადრი რამიშვილი	ასოცირებული პროფესორი	დოქტორი
7.	ლოგისტიკა საჯარო სექტორში	ბადრი რამიშვილი	ასოცირებული პროფესორი	დოქტორი
8.	ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში	ნატალია ხარაძე	ასოცირებული პროფესორი	დოქტორი
		დეა ფირცხალაიშვილი	ასისტენტ პროფესორი	დოქტორი
9.	ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოება	ზურაბ გარაყანიძე	სტუ ასოცირებული პროფესორი	დოქტორი
		ზვიად შანავა	კურსის უფროსი	დოქტორი
10.	პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომი	კონსტანტინე პეტრიაშვილი	კურსის უფროსი	დოქტორი
		ბადრი რამიშვილი	ასოცირებული პროფესორი	დოქტორი
		ნატალია ხარაძე	ასოცირებული პროფესორი	დოქტორი

არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები				
11.	**ეროვნული თავდაცვის დაგეგმვა და მართვა**	ომარ ბეგოიძე	მიმართულების უფროსი	დოქტორანტი
		ზვიად შანავა	კურსის უფროსი	დოქტორი
		გიორგი დოლიძე	ასოცირებული პროფესორი	მაგისტრი
		კახაბერ ესებუა	სამმართველოს უფროსი	მაგისტრი
12.	**თეატრის სტრატეგიისა და კამპანიის დაგეგმვა**	რომან ქავთარაძე	მიმართულების უფროსი	დოქტორანტი
		მამუკა ქავთარაძე	დირექტ. მოადგილე / ცენტრის უფროსი	დოქტორანტი
		გიორგი მეშველიანი	კურსის უფროსი	დოქტორანტი
		კოპეიკინი მამუკა	უფროსი ინსტრუქტორი	მაგისტრი
13.	**საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოება**	კონსტანტინე პეტრიაშვილი	კურსის უფროსი	დოქტორი
		ომარ ბეგოიძე	მიმართულების უფროსი	დოქტორანტი
		თეიმურაზ ბუსხრიკიძე	უფროსი ინსტრუქტორი	მაგისტრი
		ნინო ოხანაშვილი	ხარისხის მართვის მთ. სპეციალისტი	დოქტორი
		პაპუნა მაჩაიძე	ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	დოქტორი
14.	**საზოგადოებასთან ურთიერთობა**	მარინე კობალავა	ასოცირებული პროფესორი	დოქტორი
15.	**საჯარო ფინანსები**	მიხეილ ჩიკვილაძე	ასოცირებული პროფესორი	დოქტორი

დანართი 4

მატერიალურ ტექნიკური ბაზის აღწერილობა

სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ-თავდაცვის აღმშენებლობის სკოლის ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე.

1. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აღწერილობა

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, წარმოდგენილია შესაბამისი სალექციო/სასემინარო აუდიტორიებით და რესურს ცენტრებით თსუ X (მაღლივი) კორპუსში (ქ. თბილისი უნივერსიტეტის ქუჩა). ყველა საფეხურის სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს რესურს ცენტრები და მაგისტრანტებისთვის გამოყოფილი სივრცეები.
საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება თსუ-ს მეათე სასწავლო კორპუსში, რომლის საერთო ფართობია 23000 მ2, სააუდიტორიო ფართობი - 5140 მ2.აუდიტორიების რაოდენობა - 103. სტუდენტების განთავსებისათვის აუდიტორიებში ადგილების საერთო რაოდენობა შეადგენს 4643-ს.
ინფრასტრუქტურული მდგომარეობა არის სრულად გამართული და ადაპტირებული სასწავლო პროცესისათვის.
მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა ემსახურება დაახლოებით 5000-მდე სტუდენტს.
ფაკულტეტის სარგებლობაშია გამართული და საკმარისი რაოდენობის კომპიუტერული, საპროექციო,, საბეჭდი მოწყობილობისა და სხვა დანიშნულების ტექნიკა;
ფაკულტეტზე ფუნქციონირებს:

- 3 რესურსცენტრი, რომელიც აღჭურვილია 117 პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით, სადაც სტუდენტებისა და პერსონალისთვის უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა ინტერნეტთან;
- 4 კომპიუტერული კლასი, რომელიც მთლიანობაში აღჭურვილია 70 პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით, პორტაბელური კომპიუტერით, პრინტერით და 4 პროექტორით;

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სასწავლო სამეცნიერო ცენტრები, რომლებიც ემსახურება პროგრამის მიზნების მიღწევას. მათ შორის:

- მაკროეკონომიკური კვლევების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია 10 პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით;
- ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პორტაბელური და პერსონალური კომპიუტერების კომპლექტით, პრინტერით და პროექტორით;
- ბიზნეს-ეთიკის ცენტრი;
- ეკონომიკის კვლევისა და სწავლების ქართულ-ბერძნული ცენტრი;
- ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი;
- ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრი;

- მარკეტინგული კვლევის ცენტრი;
- მიგრაციის კვლევის ცენტრი;
- მსოფლიო ეკონომიკის კვლევის ცენტრი;
- სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერების კომპლექტით, პრინტერით და პროექტორით;
- სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერების კომპლექტით, პრინტერით და პროექტორით;
- გლობალიზაციისა და მდგრადი განვითარების საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი;
- ტურიზმის კვლევითი ცენტრი, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერების კომპლექტით, პრინტერით და პროექტორით.

სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და ამოცანების შესრულებას, ასევე, ემსახურება პროექტორით აღჭურვილი 25 აუდიტორია. მათ შორის ლაბორატორიები:

- უნივერსიტეტის მეათე სასწავლო კორპუსში, ფუნქციონირებს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს ინკუბატორი, რომელიც ფაბ-ლაბების მსოფლიო ასოციაციის წევრია. თსუ-ის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (Fab Lab) აღჭურვილია უახლესი 3D პრინტერით, 3D სკანერით, თანამედროვე ლაზერული მჭრელით, პროგრამირებადი ჩარხით (CNC) და სხვა.
- სასწავლო კორპუსში, ფუნქციონირებს ბლუმბერგის საერთაშორისო სასწავლო კვლევითი ლაბორატორია. ლაბორატორია აღჭურვილია სპეციალური ტექნიკით, ფუნქციონირებს 12 ტერმინალის ბაზაზე. ლაბორატორიაში სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს და მკვლევარებს აქვთ წვდომა საინფორმაციო პლატფორმაზე - Bloomberg Professional, რომელსაც იყენებს 320 ათასზე მეტი ბიზნეს ლიდერი და ფინანსური პროფესიონალი მსოფლიოს მასშტაბით.

სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების გააჩნია საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, რომელშიც განთავსებულია უახლესი ქართულენოვანი და უცხოენოვანი თანამედროვე წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო მასალებს (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით და ასევე, სხვა სახის ლიტერატურით.

სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ელექტრონული და მატერიალური ფორმით, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები (EBSCO Publishing, JSTOR, Scopus, Sciencedirect, Web of Science (WoS)) https://tsu.ge/ka/library/page/894.

2. სსიპ-თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ინფრასტრუქტურის აღწერილობა

სსიპ-თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო-საგანმანათლებლო აღჭურვილობით (მის: ქ. თბილისი ჭონქაძის 20). ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებზე. სკოლას გააჩნია შემდეგი ინფრასტრუქტურა:

- 2 საკონფერენციო დარბაზი (35 და 20 სტუდენტი) აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით (აუდიო, ვიდეო, მიკროფონები);
- 2 საკლასო/სასემინარო ოთახი (16 და 10 სტუდენტი) აღჭურვილი აუდიო/ვიდეო საშუალებებით;
- სინქრონული თარგმანის აღჭურვილობა;
- ღია საკრეკრეაციო სივრცე, რომელიც გამოყენებულია აგრეთვე სასწავლო პროცესში (სიმულაციები, მცირე ჯგუფების მუშაობა).

ერთერთი საკონფერენციო დარბაზი სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებზე (გორგოლაჭიანი სავარძლის გამოყენება, სპეციალური აუდიო აღჭურვილობა, მონიტორები განთავსებული ყველა კედელზე). სკოლის საკლასო და სასემინარო სივრცეები სრულად არის უზრუნველყოფილი უსადენო ინტერნეტის საშუალებებით.

სკოლას გააჩნია სივრცე ყავის შესვენებების ან სხვა სოციალური ღონისძიებების ჩატარებისთვის. ასევე სკოლა სრულად არის უზრუნველყოფილი სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების წერტილებით.

სკოლას შეუძლია მიიღოს ერთდროულად 80 მსმენელი.